საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კულაშის ზოოვეტზოოტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

# მეფუტკრეობის

## კურსის

# სასწავლო დავალებები და მეთოდური მითითებანი

სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმების ზოოტექნიკური სპეციალობის დაუსწრებელ სწავლების მოსწავლეთათვის

1960 წ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კასპის ზოოვეტტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

დამტკიცებულია
სრულიად საკავშირო სასოფლო
სამეურნეო დაუსწრებელი
ტექნიკუმის მიერ
26 აპრილი 1958 წ.

# მეფუტკრეობის
## კურსის
# სასწავლო დავალებები და მეთოდური მითითებანი

სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმების ზოოტექნიკური
სპეციალობის დაუსწრებელ სწავლების მოსწავლეთათვის

1960 წ.

# ზოგადი მითითებანი

მეფუტკრეობის კურსის მიზანია, მისცეს მოსწავლეებს საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, ფუტკრის-დამოუკიდებლად მოვლისა და გამრავლების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დამტვერვისათვის სწორად გამოყენების, თაფლისა და სანთლის მაღალი გამოსავლიანობის მიღების დარგით.

მეფუტკრეობის თეორიული კურსის შესწავლის შედეგად, მოსწსვლეები უნდა დაეუფლონ ფუტკრების საზაფხულო გამრავლების ხერხებს, ოჯახების გამრავლებას, დედაფუტკრების გამოყვანას და სამთაბაროდ გამოყვანას თაფლის მიღებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დამტვერვისათვის. შეისწავლოს ფუტკრის დაზამთრება და მისი ორგანიზაცია.

კურსის სწავლება უნდა ტარდებოდეს სკკ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესახებ 1959-1965 წლებში და სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წ. 30 იანვრისა და 1956 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებების-კარტოფილისა და ბოსტნეულის ხილის კენკრის და ყურძნის წარმოების გადიდების შესახებ.

კურსის შესწავლის დროს უნდა გამოვიყენოთ უახლოესი მიღწევები მშობლიური და საზღვარგარეთის მეცნიერებისა, მოწინავე საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და მოწინავე მეფუტკრეთა გამოცდილებანი.

მეფუტკრეობის საგანში მოსწავლეებმა უნდა შეასრულოს ერთი საკონტროლო დავალება და პრაქტიკული სამუშაო, რომელიც მოცემულია წინამდებარე სასწავლო დავალებაში. შესრულებულ პრაქტიკული სამუშაოთა აღწერა უნდა წარმოებდეს ცალკე რვეულში, რომელიც წარედგინება ტექნიკუმს პირადათ, ლაბორატორიულ საგამოცდო სესიების პერიოდში, აღნიშნულ საგანში გამოცდების ჩაბარებამდე.

## ლიტერატურა

ვ. ვ. ერისთავი—მეფუტკრეობა.

ს. ქლენტი, ბ. ქლენტი—ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

ი. ა. გაბუნია—საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

**П. М. Комаров, Г. В. Копелькиевский** и др:
Пчеловодство, сельхозгиз, 1955 г.

**А. М. Ковалев, А. С. Нуждин** и др:

Пчеловодство, изд. 1955 г.

Словарь-справочник пчеловода под редакцией **А. Ф. Гудина** и др; сельхозгиз, 1955 г.

**И. И. Кораблев, И. А. Бабич** и др;

Пчеловодство изд. 1954 г.

### 1 თემა. შესავალი

მეფუტკრეობა, როგორც სოფლის მეურნეობის ერთერთი დარგი. მეფუტკრეობის მდგომარეობა სსრ კავშირში. მეფუტკრეობის შემოსავლიანობა. მეფუტკრეობის მნიშვნელობა საზოგადოებრივ კვებისა და მრეწველობაში. ფუტკრის როლი სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების დამტვერიანებისა და მათი მოსავლიანობის გაზრდის საქმეში. სკკ პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობის მიერ მიღებული საკონტროლო ციფრები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმის შესახებ. სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

გამსხვილებული კოლმეურნეობა, როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალ დარგოვანი მეურნეობა—საუკეთესო ბაზა მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის. მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. სსრ კავშირის მეფუტკრეობის მოწინავეთა მიღწევები.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

**ვ. ერისთავი**—მეფუტკრეობა 1947 წ.

**ბ. ულენტი, ს. ულენტი**—ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

**ი. ა. გაბუნია**—საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

**А. М. Ковалев, А. С. Нуждин**

Пчеловодство, изд. 1955 г. стр. 39.

### 2 თემა. ფუტკრის ოჯახის ბიოლოგია

ფუტკრის ოჯახის შემადგენლობა დედა, მუშა და მამალი ფუტკარის ფუნქციები.

განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი დედა ფუთკარი. ურთიერთ დამოკიდებულება დედა, მუშა და მამალ ფუტკრებს შორის.

მამალი ფუტკრების გამოყვანა გაზაფხულზე და მათი გაძევება ოჯახიდან შემოდგომით. სამუშაოს განაწილება ფუტკრის ასაკობრივ ჯგუფებს შორის.

მფრინავი (მალალი) და არა მფრინავი (ბუდეში მომუშავე) ფუტკრები. მამალი ფუტკრები, ფუტკრის ბუდე (ფიჭის) უჯრის სხვადასხვა სახეები ბუდეში მუშა მამალი და სადედე ფუტკრის გარდამავალი, თაფლის უჯრები და მათი გამოყენება ფუტკრის ოჯახში. ბუდეში ბარტყის, თაფლის და ჭეოს განლაგება. ფუტკრის ბუდის სითბური რეჟიმი. ბუდის დაცვა. თაფლი და ჭეო, როგორც ფუტკრის საკვები. ფუტკრის მოთხოვნილება წყალზე. ფუტკრის მიერ დინდგელის შეგროვება და გამოყენება. ფუტკრის სხეულის გარეგანი აგებულება. ქვიტინოვანი საფარველი და მისი შენება. ფუტკრის გარეგანი ორგანოები. თავი, გულმკერდი, მუცელი და მათი დანამატები. ფუტკრის შინაგანი აგებულება, კუნთები, საკვებ მონელების, გამრავლების, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და გამოყოფის ორგანოები. ფუტკრის ნერვული სისტემა და გრძნობის ორგანოები (მხედველობის, ყნოსვის და შეხების) ფუტკრის განვითარება მუშა, დედა და მამალი ფუტკრის განვითარების სტადიები. კვერცხი, მური და ბარტყი დედა, მუშა და მამალი ფუტკრის განვითარების თავისებურებანი. თავდახური ჭია და თავლია სადედე ჭუპრი, ცნება შერეულ ბარტყზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკრის ყოფაქცევა. აკადემიკოსი პავლოვის მოძღვრება რეფლექსებზე. პირობითი და უპირობო რეფლექსების მნიშვნელობა ფუტკრისათვის. მზვერავი ფუტკრები. მოლალე ფუტკრის მობილილიზაცია ნექტრისა და ჭეოს შესაგროვებლად. ფუტკრის შემკრები ცეკვა. ფუტკრის წვრთვნა, როგორც ზაფხულის ღალიანობის წარმართვის მეთოდი.


### ლიტერატურა

ვ. ერისთავი—მეფუტკრეობა, 1947 წ.

ს. ჟღენტი, ზ. ჟღენტი—ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

ი. ა. გაბუნია—საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეებში.

**П. И. Комаров, Г. В. Копелькиевский, Э. Ф. Пономарева, Г. Ф. Таранов, В. А Темнов,** Пчеловодство, изд. 1955 г.

**А. И. Ковалев, А. С. Нуждыим, В. И. Полмев** и др., Пчеловодство изд. 1955 г.

**И. И. Кораблев И. А. Бабич С. А. Розов,** Пчеловодство, изд. 1954 г.

Словарь-справочник пчеловода, изд. 1956 г.


### 3 თემა. საკვები ბაზის ორგანიზაცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვა

თაფლოვანი მცენარეების მნიშვნელობა მეფუტკრეობის მეურნეობისათვის. ტყის, ბუჩქნარი, მდელოების და საძოვრების ძირითადი თაფლოვანი მცენარეების მოკლე დახასიათება. სასოფლო-სამეურნეო თაფლოვანი კულტურები, ეთერ-ზეთოვანი და სამკურნალო, ბოსტნეული და ბაღჩეული თაფლოვანი მცენარეები. სპეციალური თაფლოვანი კულტურები (ფესცელია, ძირწითელა სარო და სხვა) ბაღებისა და სუბტროპიკული ზონის თაფლოვნები. თაფლოვან მცენარეთა აგროტექნიკა, მტვერ მატარებელი მცენარეთა მოკლე დახასიათება.

მეფუტკრეობის მეურნეობის საკვები ბაზის გაუმჯობესების გზები და შესაძლებლობები. მეფუტკრეობის საკვები ბაზის ორგანიზაცია. მუდმივი საკვებმწარმოებელი ნაკვეთების შექმნა მეფუტკრეობის მეურნეობისათვის, თაფლოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბუჩქნარი და თესლბრუნვების წარმოების და მერ-

ქნიან მცენარეთა გაშენების გზით, სხვადასხვა ზონების მხედველობაში მიღებით. ნექტარ მომცემი ხე მცენარეულობის გაშენების წარმოება. ძირითად თაფლოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვისათვის საჭირო ფუტკრის ოჯახების განსაზღვრა. ფუტკრის ოჯახების განლაგების წესები დამტვერვისათვის გამოყოფილ ფართობში. დამტვერვისათვის ფუტკრის წვრთვნის ტექნიკა. ფუტკრის ოჯახების გადატანა თაფლოვან მცენარეთა ფართობებში—ფუტკრის მომთაბარეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვისათვის, ფუტკრის გამოყენების გეგმის შედგენა.

ცდები, რომლებიც იძლევიან მოსავლიანობის გადიდების ილუსტრაციებს, ფუტკრით მცენარეთა დამტვერვის დროს.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


**ვ. ერისთავი** — მეფუტკრეობა, 1947 წ.

**ს. ჟღენტი, ბ. ჟღენტი** — ფუტკრის მოვლა მოშენება.

**ი. ა. გაბუნია** — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეებში.

სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დადგენილება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ„ (საკვები ბაზის განმტკიცების განყოფილება).

**П. М. Комаров** и. др., Пчеловодство, изд. 1955 г.

**М. А. Ковалев** и. др., Пчеловодство изд. 1955 г.

**М. М. Глухов.** Важнейшие медоносные растения и способы их разведения, изд. 1950 и 1956.


### 4 თემა. მეფუტკრეობის მეურნეობის ორგანიზაცია

საფუტკრის ძირითადი მიმართულებანი. საფუტკრის ადგილის ამორჩევა, მეფუტკრეობის წინაშე დასახული ამოცანისა და ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებით.

საფუტკრის სიდიდის გახსაზღვრა არსებულ ბუნებრივ და ხელოვნური საკვები ბაზის მიხედვით.

ცნება სტაციონალურ და მომთაბარე მეფუტკრეობის მეურნეობაზე.

საფუტკრის ტერიტორიის ორგანიზაცია, მიწის ნაკვეთის სიდიდის დადგენა მეფუტკრეობის მეურნეობის საჭიროებისათვის.

ადგილის ამორჩევა და მომზადება საფუტკრისათვის. მეფუტკრეობის მეურნეობის ძირითად შენობა — ნაგებობათა განლაგება. საფუტკრის დაცვა ქარებისაგან. ნაყოფ მომცემი მცენარეთა დარგვა საფუტკრეში. ფუტკრის ოჯახების განლაგების ხერხები. საფრენის მიმართულების განსაზღვრა.

### ლიტერატურა


ვ. ერისთავი — მეფუტკრეობა 1947 წ.

ს. ჟღენტი, ბ. ჟღენტი — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

ი. ა. გაბუნია — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში.

А. С. Нуждин. А. М. Козалев и др., Пчеловодство, изд. 1955 г.

И. И. Кораблев. И. А. Бабич и др., Пчеловодство изд. 1954 г.

Словарь — справочник пчеловода, изд. 1955 г.


### 5 თემა. საფუტკრის ინვენტარი და შენობა ნაგებობანი

საზამთრეს ტიპების არჩევა და მისი მოწყობილობანი. საზამთრის აგება. საფუტკრის სახელოსნო და მისი მოწყობილობა. სკის სისტემის შერჩევა მეურნეობის მიმართულებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. სკებისადმი წაყენებული მოთხოვნები, როგორც ფუტკრის საცხოვრებლისა და როგორც საწარმოო იარაღისა ერთ კედლიანი სკა 435 $\times$ 300 მმ რამკის ზომებით.

რუსი გამომგონებელი პროკოპოვიჩის ჩარჩოიანი სკა. სკის შემადგენელი ნაწილები. სკების კლასიფიკაცია.

სკის შეკეთებისათვის საჭირო მასალები (ხე, ჩალა და სხვა)

საფუტკრის ძირითადი ინვენტარი. თაფლსაწური სანთლის სადნობი მზით სანთლით საწური, პირბადე, საბოლებელი, საფხეკი. სამუშაო იარაღებისა და ჩარჩოების გადასატანი ყუთი, სადედე გალიები, წყლის სასმელი. ხელსაწყოები ჩარჩოების დასახვრეტად, თაფლის შესანახი ჭურჭლები.

საფუტკრის დაკომპლექტების საშუალებები: ფუტკრის შეძენა, დედაფუტკრის მიღება პაკეტებით. ფუტკრის ოჯახების გადაყვანის წესები და საშუალებები. ფუტკრის გადაყვანა შოსე გზით და რკინიგზით.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


ვ. ერისთავი — მეფუტკრეობა, 1947 წ.

ს. ჟლენტი ბ. ჟლენტი — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წელი.

ი. ა. გაბუნია — საზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში.

П. М. Комаров, Г. В. Копелькиевский и др., Пчеловодство, изд. 1955.

А. М. Ковалев. А. С. Нуждин, Пчеловодство; изд. 1955 г.

И. И. Кораблев И. А. Бабич Пчеловодство изд. 1955 г.


### 6 თემა. ფუტკრის მოვლა-მოშენება

ფუტკართან მოპყრობის წესები. საუკეთესო (შესაფერისი) დროს შერჩევა ფუტკრის ოჯახების შემოწმებისათვის. ბუდის დაშლის წესები, ჩარჩოების ამოღება და დათვალიერება და საფუტკრის სხვა ინვენტარის მოხმარება ფუტკართან მუშაობის დროს. ფუტკრის ოჯახის მდგომარეობის განსაზღვრა. საზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში. ფუტკრისათვის უხვი საკვების შექმნის, ფუტკრის ადრე გამოყვანის და სუსტი ოჯახების შეერთების მნიშვნელობა მთავარი ღალიანობის გაძლიერებისათვის.

ფუტკრის გამოყვანა საზამთრიდან, გამოყვანის დრო და ტექნიკა ფუტკრის მიერ ბუდის გაწმენდა და პირველი საორენტაციო ფრენა. ფუტკრის ოჯახების სასწრაფო შემოწმება და დახმარების გაწევა არა კეთილსაიმედო ოჯახებისადმი.

ფუტკრის ოჯახების განვითარებისათვის აუცილებელი საარსებო პირობები (სითბო, დედა ფუტკრის არსებობა და ხარისხი, მუშა ფუტკრების რაოდენობა, თაფლის, სანთლის და დინდგელის საჭირო რაოდენობით არსებობა). ბუდეების განსაზღვრა ბლინოვის მეთოდით. ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო შემოწმება და მისი ჩატარების ტექნიკა.

საგაზაფხულო სანიტარულ-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება საფუტკრეში. ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო შემოწმების უწყისის შედგენა.

ბუდის გაძლიერება ოჯახის გაფართოების გზით. ბარტყის გამოყვანის ოპტიმალური დრო. ახლად გამოყვანილი ფუტკრის გამოყენება მთავარი ღალიანობისათვის.

ფუტკრის გამოყენება სანთლის დიდი რაოდენობით დაგროვე-

ბისათვის. გასაყიდი და ბუდის საჭიროებისათვის ფიჩის დამზადების ხერხები. სანთლის დნობის ტექნიკა. საშენებელი ჩარჩოების გამოყენება, სასაქონლო ახალი სანთლის დიდი რაოდენობით მიღების მიზნით. საშენებელი ჩარჩოების ტიპები.

ფუტკრის გამრავლება და ახალი ოჯახების მიღება. ფუტკრის გამრავლების წესები. ბუნებრივი ნაყრები, როგორც, ფუტკრის ცხოვრების ბიოლოგიური ფაქტორი. ბუნებრივი ნაყრების უარყოფითი მხარეები, გეგმიურ მეურნეობის პირობებისათვის. ბუნებრივი ნაყრის დაჭერა და მისი დაბინავება სკაში. დაბინავებული ნაყრის მოვლა. ბუნებრივი ნაყრების საწინააღმდეგო ღონისძიებები. ფუტკრის ოჯახების შენახვა ორ კორპუსიან სკაში.

ხელოვნური ნაყრები, მისი უპირატესობა. ფუტკრის ხელოვნური ნაყრების ბიოლოგიური თავისებურებანი. ხელოვნური ნაყრების მიღების ძირითადი მეთოდები.

ფუტკრის გაყოფით გამრავლების უპირატესობა, ბუნებრივ ნაყრისა და ფუტკრის სხვა წესით გაყოფასთან შედარებით. ფუტკრის ოჯახების სწრაფად გამრავლების წესები. ცნება ინდივიდუალურ და ნაკრებ გამონაყოფებზე განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი დედით.

დედა ფუტკრის გამოყვანა ფუტკრის ჯიშობრივ ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით. მამალ ხარისხოვანი განაყოფიერებული დედის მნიშვნელობა.

გარემო პირობების როლი მაღალხარისხოვანი დედაფუტკრის ფორმირებისათვის, მიჩურინისა და ლისენკოს სწავლების ძირითადი საფუძვლები მემკვიდრეობის შესახებ. საფუტკრეში რეკორდისტი დედის გამოვლინების საშუალებები მისგან მაღალხარისხობრივი სადედე და მამალი ფუტკრების მიღებისათვის.

ცნება ფუტკრის ინდივიდუალურ და მასიური სელექციის შესახებ. რეკორდისტი დედის თაობის ხარისხის მიხედვით შემოწმების ტექნიკა. სანაშენო მუშაობის აღრიცხვა საფუტკრეში. ხელოვნური დედა ფუტკრის გამოყვანის უმარტივესი წესები. მეფუტკრეობის მეურნეობაში დედა ფუტკრების გამოყვანის კალენდარული გეგმის შედგენის ტექნიკა. ნუკლეუსების გამოყვანის ორგანიზაცია და მათი მოვლის ტექნიკა.

განაყოფიერებული დედა ფუტკრის ახლო და შორ მანძილზე გადაყვანის ტექნიკა.

თაფლის გამოღება და საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში. ფუტკრის მომზადება მთავარი ღალიანობისთვის, საკვებზე მეორე კორპუსების დადგმა. ღონისძიებების გატარება ფუტკრის მუშაობის უნარიანობის შენარჩუნებისათვის ბუდეების დროული გაფართოება, ვენტილიაციის გაძლიერება, სკების დაჩრდილვა, ფუტკრის განტვირთვა ფიჭის შენებისაგან.

დაბეჭდილი ბარტყის პერიოდული გადარჩევა, ახალი (გამონაყოფი) ოჯახის ფორმირებისათვის, ძველი დედის შეცვლა ახალი დედა ფუტკრით.

ზამთარში ფუტკრის საკვებათ თაფლის დატოვება. საკვები სადაზღვეო თაფლის ფონდის შექმნა და მისი მნიშვნელობა. თაფლის გამოწურვის დრო და ტექნიკა საკუჭნაოებისა და მეორე კორპუსების მოხსნა, საკუჭნაოების გაშრობა, პირობების შექმნა საშემოდგომო ბარტყის გამოყვანისათვის. მანანა თაფლის ანალიზი. მანანა თაფლის რაოდენობა და მისი შეცვლა მაღალხარისხოვანი თაფლით. საშემოდგომო რევიზიის ჩატარება საფუტკრეში სსრ კავშირის სხვადასხვა ზონის პირობებში. საკვები მარაგის ნორმა, თითოეულ ფუტკრის ოჯახზე. ფუტკრის ოჯახების საზამთრეში შეყვანის საშუალებები ფუტკრის გამოკვების დრო და ტექნიკა გახანგრძლივებული ზამთრის შემთხვევაში. ნუკლეუსების მომზადება გამოზამთრებისათვის სათადარიგო დედით. სკების დაცვა მღრნელებისაგან.

თაფლის საერთო და სასაქონლო გამოსავლიანობის განსაზღვრა ფუტკრის ერთ ოჯახზე.

სანთლის საერთო და სასაქონლო გამოსავლიანობის განსაზღვრა ერთ ფუტკრის ოჯახზე. საფუტკრის სანთლის ბალანსის შედგენა. ფუტკრის დაზამთრება. ფუტკრის ოჯახების საზამთრეში დაბინავების დრო. ფუტკრის დაზამთრების საშუალებები თავისუფლათ, თოვლის ქვეშ, ტრანშეებსა და საზამთრის ტიპიურ შენობებში. ფუტკრის კარგად გამოზამთრებიდან საზამთრისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ოპტიმალური ტემპერატურა და შეფარდებითი სინესტე საზამთრეში მათი რეგულირების საშუალებები. საფუტკრის მომზადება ფუტკრის გამოზამთრებისათვის. ფუტკრის ოჯახების შეყვანა საზამთრეში. ფუტკრის მოვლა ზამთარში. საზამთრის სინათლის კოეფიციენტი, ბრძოლა მღრნელების წინააღმდეგ. ზამთარში ფუტ-

კრის გამოკვების საშუალებები ოჯახში, ფუტკრის არასაკმარისი თაფლის არსებობის დროს. დახმარების აღმოჩენა არა კეთილსაიმედო (სუსტი ოჯახებისათვის).

ფუტკრის გამოფრენა არა კეთილმოწყობილ საზამთრის პირობებში (მაღალი სითბოს არსებობის დროს) საზამთრეში ფუტკრის მოვლის ძირითადი წესები. ფუტკრის მოვლა ზამთრის პირობებში მინდვრად.

ფუტკრის გამოზამთრების ორგანიზაცია საკვების საკმარისი რაოდენობით, კარგი მოვლისა და შენახვის გათვალისწინებით.

ძ. მ. ბუზლეროვის მუშაობის მნიშვნელობა სსრ კავშირში მეფუტკრეობის განვითარების საქმეში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


**ვ. ერისთავი** — მეფუტკრეობა 1947 წ.

**ს. ჟღენტი, ბ. ჟღენტი** — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

**ი. ა. გაბუნია** — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

**П. М. Комаров** и др., Пчеловодство изд. 1955 стр. 200—463

**А. М. Ковалев, А. С. Нуждин** и др., Пчеловодство, изд. 1955 стр. 241—411.

**И. И. Кораблев** и др., Пчеловодство, изд. 1954 стр. 143—396


### 7 თემა. ფუტკრის ავადმყოფობანი და მავნებლები

ფუტკრის ბარტყის დაავადებანი — სიდამპლე, დაავადების მიზეზები, ამერიკული და ევროპული სიდამპლე. მის მიერ გამოწვეული ეკონომიური ზარალი, სიდამპლის ნიშნები. ავადმყოფობის აღმძვრელი და მისი გამომჟღავნების გარეგნული ნიშნები.

ბრძოლა სიდამპლეების წინააღმდეგ. პროფილაქტიკურ გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება ავადმყოფობის წინააღმდეგ.

მოზრდილი ფუტკრის დაავადებანი: ნოზემატოზი, აკაროზი. აღნიშნულ დაავადებათა კლინიკური ნიშნები და მათი მიმდინარეობა, გამაფრთხილებელი ზომები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ფუტკრის მავნებლები. ფრინველები სანთლის ჩრჩილი, ფუტკრის ტილი, კრაზანა, ჭიანჭველები, ხვლიკები, თაგვები, და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

## ლიტერატურა

**ვ. ერისთავი** — მეფუტკრეობა, 1947 წ.

**ს. ჟლენტი, ბ. გ. ჟლენტი** — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

**ი. ა. გაბუნია** — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

**П. И. Комаров. Р. В. Копелькиевский** и др., Пчеловодство изд. 1955 стр. 463 — 518

**А. М. Ковалев, А. С. Нуждин** и др., Пчеловодство, изд. 1955 стр. 441—493.

Справочник — словарь пчеловода, изд. 1955. стр. 6—7, 9—11, 99—100, 213—214.

**И. И. Кораблев** и др., изд. 1954 стр. 396—440

### 8 თემა. ფუტკრის პროდუქტების ტექნოლოგია

თაფლი. თაფლის საკვები ღირებულება, ქიმიური შედგენილობა, ფიზიკური თვისებები, თაფლის შეფუთვა და შენახვა. სანთელი, სანთლის სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა. სანთლის სავაჭრო ხარისხები, სანთლის ნედლეულის სავაჭრო ხარისხები და მათი სანთლის გამოსავლიანობა, ბრძოლა სანთლის დანაკარგების წინააღმდეგ, საფუტკრეში სანთლის ნედლეულის გადამუშავების მარტივი ხერხები—მზით სანთლის სადნობის და სპეციალური სანთლის სადნობის გამოყენებით.

ხელოვნური ფიჭები და მისი დამზადება. ხელოვნური ფიჭის ხარისხის განსაზღვრა.

## ლიტერატურა

**ვ. ერისთავი** — მეფუტკრეობა 1947 წ.

**ხ. ჟლენტი, ბ. ჟლენტი** — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახელგამი, 1951 წ.

**ი. ა. გაბუნია** — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

**П. И. Комаров, Г. В. Копелькиевский** и др., Пчеловодство, изд. 1955 стр. 624 — 695

**И. И. Кораблев** и др., Пчеловодство, изд. 1954—стр. 527—570

Справочник — словарь пчеловода, изд. 1955 стр. 186—187,

55—56, 57—60, 143. Номера страниц указываются по очередности изучения материала.

Академик И. А. Каблуков, о меде, воске, пчелином клее и их подмесях. изд. 1941.

### 9 თემა. შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება მეფუტკრეობაში

მეფუტკრეობის საწარმოო ბრიგადა ან რგოლი. შრომის სწორი ორგანიზაციის საფუძვლები მეფუტკრეობაში. საფუტკრის გამგის უფლება მოვალეობანი.

მეფუტკრეობისადმი, ფუტკრის ოჯახების, საფუტკრის ინვენტარის და მოწყობილობათა მიმაგრება. მეფუტკრისა და მისი თანაშემწის დატვირთვის ნორმები.

შრომის ანსზღაურება, როგორც დაინტერესების ძირითადი სტიმული მეფუტკრეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა. შრომის დამატებითი ანაზღაურება მეფუტკრეობისადმი, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, როგორც საფუძველი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა.

### შრომადღეების დარიცხვა მეფუტკრეებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და შრომის ნაყოფიერების გადიდების და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.“

სოციალისტური შეჯიბრება, როგორც შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფაქტორი. საკოლმეურნეო საფუტკრის საწარმოო დავალება. საკოლმეურნეო საფუტკრის საწარმოო დავალების შედგენის დრო და ტექნიკა. საფუტკრეში სამუშაო კალენდარული გეგმის შედგენის მეთოდიკა და კონტროლი მისი შესრულებისადმი, საწარმოო აღრიცხვა საფუტკრეში (ფუტკრის ოჯახების, ინვენტარის, მასალებისა და პროდუქტების აღრიცხვა.)

საინვენტარო წიგნი, საფუტკრის ჟურნალი, საკონტროლო სკის მაჩვენებლების აღრიცხვა. საფუტკრის დღიური ფუტკრის ოჯახების მთავარი საგაზაფხულო და საშემოდგომო შემოწმების უწყისი,

## ლიტერატურა

ვ. ერისთავი — მეფუტკრეობა, 1947 წ.

ს. ქლენტი, ბ. ქლენტი — ფუტკრის მოვლა მოშენება, სახლგამი, 1951 წ.

ი. ა. გაბუნია — საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში, თბილისი, 1948 წ.

А. М. Ковалев. А. С. Нуждин и др., Пчеловодство, изд. 1955.

И. И. Кораблев и др., Пчеловодство, изд. 1954. стр. 511 — 527

## პრაქტიკული სამუშაო

საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო საფუტკრეში მოსწავლე ვალდებულია:

1. შეისწავლოს ფუტკრის ოჯახის შემადგენლობა და ბუდის აგებულება.

2. ფუტკრის ოჯახების, განლაგების ხეებისა და ბუჩქების დარგვის სქემის შედგენა.

3. ცარიელ სკებში თვალზომითი მეთოდის გამოყენებით აწარმოეთ ჩარჩოების ჩადგმა 12,5 მმ. დაშორებით.

4. დაეუფლეთ თაფლიან ფიჭიანი სკების გადატან-გადმოტანის ტექნიკას.

5. აწარმოეთ საფუტკრის ჟურნალში ჩანაწერები ფუტკრის ოჯახების შემოწმებისა.

6. აითვისეთ თაფლის რაოდენობის განსაზღვრა ჩარჩოებზე თვალზომითი მეთოდით. შაქრის სიროფისა და შაქრის და თაფლის ნარევის მომზადების ტექნიკა ფუტკრის გამოკვებისათვის.

7. განსაზღვრეთ ფუტკრის ოჯახის მდგომარეობა, ფუტკრის პირველი საგაზაფხულო გამოფენის მიხედვით.

8. აწარმოეთ თაფლიან-ფიჭიანი ჩარჩოების დახარისხება და გამოწუნებულ ჩარჩოებიდან ფიჭების ამოჭრა.

9. შეისწავლეთ ბუდისა და საკუჭნას ჩარჩოში ფიჭის ჩაკვრა.

10. მიიღეთ მონაწილეობა ფუტკრის ოჯახების გადაყვანაში, ლალიანობის გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დამტვერვისათვის.

11. აწარმმოეთ ანალიზი თაფლისა, კირიანი წყლისა და სპირტოვანი რეაქტივების წვეთოვანი მეთოდით.

12. მიიღეთ მონაწილეობა ფუტკრის ოჯახების გამოკვების სამუშაოებში და ფუტკრის ოჯახების საზამთროში შეყვანისათვის.

13. მიიღეთ მონაწილეობა საფუტკრის საწარმოო დეტალების შედგენაში.

14. მიიღეთ მონაწილეობა საზამთროში ფუტკრის ოჯახების მოვლის სამუშაოებში (ტემპერატურის, სინესტის რეგულირება, ჰაერის ვენტილიაცია და სხვა).

15. საფუტკრის ჟურნალის და დღიურის ფორმების გაცნობა.

## საკონტროლო სამუშაო

### პირველი ვარიანტი

1. მეფუტკრეობის მნიშვნელობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში.
2. სასოფლო--სამეურნეო თაფლოვანი კულტურები და მათი მოკლე დახასიათება.
3. საზამთრო საფუტკრეს ტიპების ამორჩევა და მისი შიდა მოწყობილობა.
4. ღალიანობა და საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

### მეორე ვარიანტი

მეფუტკრეობის როლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

2. მეფუტკრეობის მეურნეობათა ძირითადი მიმართულებანი სსრ კავშირში.
3. სკების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება.
4. ფუტკრის ოჯახების საზამთროში შეყვანის მეთოდები.

### მესამე ვარიანტი

1. მოწინავე მეურნეობებისა და მოწინავე მეფუტკრეთა მიღწევები და მათი მუშაობის მეთოდები. (მაგალითისათვის მოიყვანეთ თქვენი რაიონის და ოლქის, რესპუბლიკის მოწინავეები).
2. მეფუტკრეობის მიერ დაკავებული ტერიტორიის ორგანიზაცია.
3. ფუტკრის გამოზამთრების მეთოდები.
4. სანთელი (სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ქიმიური შედგენილობა და ხარისხები).

### მეოთხე ვარიანტი

1. ფუტკრის ოჯახის შემადგენლობა, დედა ფუტკრის, მამალი და მუშა ფუტკრების ფუნქციები.

2. მეფუტკრეობის საკვები ბაზის გაფართოების გზები და შესაძლებლობანი.

3. ფუტკრის მოვლისათვის საჭირო საფუტკრის ინვენტარი თაფლის გამოსაწურავი, სანთლის დასამუშავებელი, ჩარჩოებში ხელოვნური ფიჭის ჩასაკრავი მოწყობილობა.

4. ფუტკრის ბარტყის ავადმყოფობათა კლასიფიკაცია; ევროპიული სიდამპლე და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

### მეხუთე ვარიანტი

1. ფუტკრის ბუდის მოწყობილობა.

2. სპეციალური თაფლოვანი მცენარეები და მათი მოკლე დახასიათება.

3. ფუტკართან მუშაობის წესები.

4. მოზრდილი ფუტკრის დაავადებათა კლასიფიკაცია. ნოზემატოზი და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

### მეექვსე ვარიანტი

1. ფუტკრის ოჯახის განვითარების თავისებურებანი.

2. დინდგელის (მტვრის) მომცემი მცენარეები და მათი მოკლე დახასიათება.

3. დედა-ფუტკრის გამოყვანის საშუალებები.

4. თაფლი (საკვები და დიეტური თვისებები, ქიმიური შედგენილობა, ფიზიკური თვისებები).

### მეშვიდე ვარიანტი

1. ფუტკრის წვრთნა, როგორც ფუტკრის შემოქმედებითი მუშაობის მიმართულების მიცემის მეთოდი.

2. თაფლოვან მცენარეთა მნიშვნელობა მეფუტკრეობის მეურნეობისათვის.

3. ხელოვნური ნაყრების მიღების ხერხები და მათი დახასიათება

4. შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ძირითადი ფორმები მეფუტკრეობაში.

---

1303
18/VI 60

თარგმნა შ. მახათაძემ

რედაქტორი: კ. ძაგნიძე

ტექ. რედაქტორი: გრ. სოფრომაძე

კორექტორი ე. კაპანაძე

შეკვეთის №. 1293 ტირაჟი 300 უე 07033

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტამბა, კიროვის ქუჩა, № 55.

-50

60-1303

ეროვნული ბიბლიოთეკა

Министерство сельского хозяйства ГССР
Заочное отделение Кулашского зооветтехникума

Учебное задание
по курсу
„ПЧЕЛОВОДСТВО"
для учащихся-заочников
сельскохозяйственных техникумов
по специальности „Зоотехния".
(на грузинском языке)